

სახალხო ფურცელი

სურათიანი ჟამთმეცხე

გაზეთის № 408

ლავაშვილის № 73

კვირა, 18 ოქტომბერი 1915 წ.

სულის კვნეისა

ოჰ, სევდავ, რათ მჩრდილავე?
დაბინდდა რად?!
მზე-ტურფავ, მზე-დილავე,
სადა ხარ, სად?!
სიცოცხლის ელივილსა
ვინ უღვას წინ?
ბუნების ღმირსა
ვინ შხამავს, ვინ?!
მეყოფა!.. არ მინდა
საფლავის თხრა!
მომეცით... მე მინდა...
რა მინდა, რა?!
მაშვრალი, დაგული,
სწუხს სული, თრთის!
რათ სტირის, ახ, გული,

რას მარხავს... ვის?!
გხედავ მე გაუვალს
კუბოთა მწკრივს..
მიხმობენ... მეც წავალ...
ველირავ... ძლივს!..
გულიდან ამოფხვრიტ
თქვენ კადევ ერთს,
და იტყვიტ ამოხვრიტ:
„მადლობა ღმერთს!“

ოჰ, სევდავ, რათ მჩრდილავე?
დაბინდდა რად?
მზე-დედავ, მზე-დილავე,
სადა ხარ, სად?!

27 ენკ.

კ. მაყაშვილი.

ლექის შექმნის დროს

ლექის შექმნის დროს მე წარმოვადგენ
ცის და მიწის ხიდს, ხიდს მძლავრს და მჭიდროს;
მე ვქმნი და მე ვსპობ: მოგკლავ! აღვადგენ!
ლექის შექმნის დროს!.. ლექის შექმნის დროს!..

მე შემიდლიან—თუ შენს გულს უნდა—
გაჩუქო აგერ ის არე-მარე,
სადაც ზღვის ქავლი მზით ადუღუნდა
ქავლი ხუჭუჭა, ქავლი მთვლემაჩრე;

მე შემიდლიან კანონი ღვთისა
ისე შევცვალო, სატრფოვ-სეიანო,
რომ ჩემის ლექსით თვით ჩავსვლა მზისა
ცოტა ხნით კადევ დავაგვიანო.

ო, მე სულ სხვა ვარ! მე წარმოვადგენ
ცის და მიწის ხიდს, ხიდს მძლავრს და მჭიდროს;
მე ვქმნი და მე ვსპობ: მოგკლავ! აღვადგენ!
ლექის შექმნის დროს! ლექის შექმნის დროს!

ი. გრიშაშვილი.

ჩემი სამუთლო

(კ. ბალმონტს).

აქ კოლხეთი, ივერიას გადასწვნია დაღალ-კავად,
აქ რიონი მტკვრის ზვირთს იწვევს საცელქოდ და საცეკვავად,
აქ საღამო ღვთის სუნთქვას ჰგავს—მთვარის შუქი ამსჭვრავალბეს,
აქ ერთი ზღვა, მეორესთან—გრივალს კოცნას დაავალბეს!..
აქ რიყრაქზე ცის პორფირი—აიკინძავს ვარსკვლავთ ღიღებს,
ოქროს კლემით აელგებულს და ალერსად ატეხილბეს...
აქ ყვავილნი სათუთ ბაგეს მზის ამბორით ამშრალბენ,
აქ ქალწულნი თვალთა მზერით თვით ამურბეს ამთვრალბენ!
აქ ზეფირი ტრფობის ზოპარს ორთქლის ფრთებით დააქროლბეს,
ხან თვალს-თვალსა შეუშსკვალბეს, ხან გულს გულთან ვააბრძოლბეს...
აქ ჩანჩქერი ფოლადის კლდეს ბროლის გველად ეგრინბეს,
აქ ნიავე ვერხვის ფოთლებს სიზმრის განცდას ეკითბეს!
აქ მალალ მთის თეთრ კვარცხლბეზე—სილამაზის წარმომშობელს—
სერაბამნი ხმა შეწყობით უმღეროას საგალობელს! —
აქ აინთო ღმერთის ცეცხლი ამირანის მონატანი,
შოთას სიმიც აქ შეიზხა, აქ დაირწო მის აკვანა
და ეს ჩემი სამშობლოა... დოლილია მზის ექსტაზის!..
— და შენ, უცხო მზის სტუმარო, შენ, ქურუმო სილამაზის! —
თუ მის სულის საიდუმლოს—მისებურად ამოიცნობ,
თუ მის ღმირს—ღმირს მოგგვრის, თუ მის წყლულში ტკივილს იგრძნობ,
თუ ის შენში წარფელ გრძნობიან—თვის მომღერალს დაიგულბეს—
სალამს გიდღენის მოწიწებით და მადლობის თაიგულბეს!..

7 ოქტომბერი.

ს. ფაშალიშვილი.

მკრი ზღაპარი

(„მეუფება სიკვდილისა“-დან).

მე-X თავი.

ჩვენმა მეგობარმა მეწისქვილემ, თემუიამ, ვარდო და მე სადილ-
ზე მიგვიპატიუა. ჩვენც ვეწვიეთ მას წისქვილში. ვარდო დღეს უფ-
რო მოწყენილი იყო, ვიდრე წინად. გაკვირვებული და გულჩათხრო-
ლი იმზირებოდა. გზაზე, სანამ თემუასთან მივიდოდით, გადაკვრით
ისეთები მითხრა, რომ თითქმის მიმახვედრა მისი სევდა-მოწყენის
მიზეზს. რაც გავიკე ის შეეხებოდა ქალის საიდუმლოებას. შე-

მაკრთო მან. ხოლო შევეცადე ჩემივე თავისთვის დამემალა ნაგრძნობ-
მიხდომილი.

— აბა, მითხარ, მანუჩარ, რა არის ცხოვრება?.. მე არ ვიცი
სრულბებით, თუ რა არის იგი?.. მე აქამდე არც მომსვლია თავში ეს
აზრი, ახლა კი ძალიან მინდა ვიცოდე...

— რა არის ცხოვრება?.. რად მეკითხები ამას, გენაცვალე?..
მერე ასეთი კილოთი?.. ცხოვრება-სიყვარულია!!

— სიყვარული კი რა არის?

— სიყვარული—შენა და მე ვართ!—მოფერებით ვუპასუხე და
საალერსოდ ხელზე ხელი მოვიკდე!

დასავლეთის ასპარეზი



საფრანგეთის ჯარის-კაცები

პირზე აფარებული აქვთ ნიღაბები, რომელიც მათ იფარავს მოსაწამლავი გაზისაგან.

— მაშ, ის რა არის, მე რომ...— და სახის მეტყველებით, შეკრთომითა და შეწითლებით, კვლავ თავისი სევდა-მოწყენის საიდუმლო მიზეზზე შეაჩერა ჩემი ყურადღება.

— დაიცა, ვარდო!.. სად გაგონილა ასეთი მწუხარება?.. არაფერია!.. აი, რა მშვენიერი დღეა; და გარემო რა ხალისიანი, რა ლამაზი!! შენ ხომ გიყვარს ბუნება?... ამაზე ვილაპარაკოთ!!

ვარდო დადუმდა. ხელი გამომართვა და თავჩაქინდრული ღუმილით განაგრძო გზა. უხერხულად ვგრძნობდი გზას, მაგრამ ღუმილის დარღვევა მაინც ვერ გავბედე.

მაღე მივაღწიეთ თემუის წისკვილს. მასპინძელი დიდად გახარებული დაგვხდა. თავლი გადმოგვასხა პირიდან და სიტყვას ყვაველები გადმოგვყარა.

მშვენიერი სადილი დაემზადებინა. სულ მცირე ხანში მოგუსხედით სუფრას... თემუიამ მაშინვე შეატყო ვარდოს მოწყენილობა. შეეცადა მის გართოვას. ძველებური სადღეგრძელოები ძველებურად სთქვა, ლექს ჩართულად, მოქარგულად. ვარდო მიუხვდა წადილს და სიმხიარულე მოიგონა, რომ ესამოგვებინა ძვირფასი „მოხუცისათვის. თითონაც სთქვა სადღეგრძელო და ჩვენს „პრავალ-ქამიერში“ თავისი ოქროს ხმა ჩაავიერისტა...

ნასადილევს ბროლკაქა ნაპირზე ჩამოვსხედით. თემუიამ ბევრი რამ საინტერესო გვიამბო. სალამომდის გვამხიარულა. შემდეგ გავისეირნეთ მდინარის ნაპირებზე. მზის ჩასვლისას ერთ გორაკზე ავედით, რომელიც ბროლკაქას გადაჭკურებდა. დავისვენეთ. უცნაური ხმაურობით ჩაუდიოდა გორაკს ბროლკაქა. თითქო აქაურობას იგი სხვა კილოთი მიმართავდა, სხვას რალკას ეუბნებოდა! თითქო მისი კენჭებიც აქ თავისებურად მეტყველობდნენ!

მე მომეჩვენა, რომ ორნაირად ბუტბუტებდა ბროლკაქა, ორნაირ აზრს გვამცნობდა მისი დაუღვრომელი რაკ-რაკი.—ერთი იყო უბრალო და სასიხარულო, როგორც ხალხური აზროვნება, მეორე კი რთული და უცხოდ ქარგული, როგორც ღრმა სულის განცდა სიკვდილ-სიცოცხლეზე დაფიქრების დროს.

— საიდან გაჩნდა ბროლკაქა, თემუ, და ეს საუცხოვო კენჭები რამ დაჰყარა მის გარშემო?—კითხეთ თემუიას რამდენიმე ხნის საერთო სიჩუმის შემდეგ. ჩემს ხმაზე ვარდომ ყურები სცქვიტა. გაოცებით შემომხედა და ერთ ხანს მიმზირა თვალეზში.

— საიდან გაჩნდა ბროლკაქა, და ეს საუცხოვო კენჭები რამ დაჰყარა მის გარშემო?—კითხვითვე მომმართა თემუიამ და მდინარეს დაუწყო მზერა.

— ზღაპარს გეტყვი ამაზე!.. თითონ ბროლკაქას ღუღუნში ამოკითხულს ზღაპარს გეტყვი, ჩემო მანუჩარ!!

— ძალიან მიყვარს შენი ზღაპრები, თემუია!.. მეც ყურს დაგივებ!—მიმართა ვარდომ თემუიას.—მეც ვიცი, მგონია, ერთი ზღაპარი ამის შესახებ!.. მეც ვიტყვი, თუ მომისმენთ!!

სიამოვნებით დავთანხვდით.

თემუიამ დაიწყო:

თემუიას ზღაპარი.

„მოკლე იქნება ჩემი ზღაპარი... მოკლე და უბრალო, როგორც ყოველთვის!.. ჩვენი სამშობლო სოფლის მთაზე სულ ძველად ბინადრობდნენ თურმე დევები... იქ, სადაც ახლა ციხე სდვას, წინად გამოქვაბული ყოფილა, და ამ გამოქვაბულში სცხოვრობდა სამი ძმა დევი“...


„ეს დევები თურმე მთელ სოფელში დათარეშობდნენ, არბევდნენ ჩვენს კუთხეს და მცხოვრებთ სახლ-კარიანად გლეჯდნენ“!..

„განუწყვეტელ ომში იყო ჩამბული ხალხი, მაგრამ რადგანაც დევების ბინა მიუვალი იყო, ვერას აკლებდა!“

„ბოლოს სოფლად დაიბადა ერთი გმარი, რომელიც თავის მშვილდ-ისრით მიადგა დევების ბინას!..—კაცის მოულოდნელსა და თავხედურ სტუმრობაზე დევები ხორხოშით გამოცვივდნენ გარედ!.. ხოლო კაცი მათ გულმაგრად დაუხვდა. დევებმა კი იგი სასაცილოდ აიგდეს!“

—„ერთი სამწვადე ხორცი შეგვმატებიაო!—სთქვეს და წამოვიდნენ კაცზე შესამუსარად!.. სოფლის გმირს არ შეეშინდა: მომართა მშვილდ-ისარი, დაუმიზნა უფროს ძმა-დევეს და შუბლში კი სტყორცნა!“

დარდანიელში



სედილ-ბარის სიმაგრეში

მოკავშირეთა ზარბაზნის ყუმბარით შენგრეული კედელი.



თ-დი ილიკო ჩოლოყაშვილი (მოკლული).



პრაპ. პლატონ ლეუავა (სამჯურაა დაჭრილი).



ივანე დავითაშვილი (დაჭრილი).

„მყისვე მოწყდა დევი მთას და ძირს დაექანა. დაეცა დედამიწაზე და უთვალავ თეთრ კენჭად გადაქცა!“

„შემდეგ შუათანა ძმა-დევეს ჰკრა კაცმა ისარი.—ისიც ძირს დაენარცხა და ცისფერ კენჭად იქცა!.. მას მოჰყვა უმცროსიცა, რომელიც თურმე ძმებზე უფრო ძლიერი ყოფილა!.. იგი უბრალო კენჭად კი არა, კაჟად იქცა და მრავლად მოეფინა ძირს მიდამოს!“

„აი, საიდან გაჩნდა კენჭი აქ, და აი, რატომ არის, რომ სამში უთუოდ ერთი კაჟია!“

„დევეების დახოცვაზე შეება აღმოსკდა გულიდან ჩვენს მთას!! გულმკერდიდან სიხარული ანკარა მდინარედ გადმოადინა და ზღვისკენ გაგზავნა მახარობლად.“

„ეს მახარობელი იყო ჩვენი ბროლკაჟა!.. აი, საიდან გაჩნდა იგი!“

ასე დაამთავრა თემუიამ თავისი ბრძნული და მშვენიერი ზღაპარი. შემდეგ ვარდოს გადახედა, თითქო სიტყვა გადასცაო. ვარდო კი ისე წასულიყო ფიქრში, რომ ეტყობოდა, სულაც არ გაეგონა თემუიას ნაამბობი. ფერი წასვლოდა. სახეზე უცნაური გამომეტყველება აღბეჭდოდა და ლანდისებური რალაც გადაჰკროდა, სიკვდილის ჩონჩხის ლანდისებური...

— შენ ცუდად ხარ, ვარდო!.. რა მოგივიდა?.. გული ხომ არ გიწუხს?—კვიტხე, მაგრამ ხმა არ გამოცა. არც შემომხედა. სადღაც სიფრცეში იმზირებოდა... ძალიან შორს, ისე შორს, რომ ვერაფერსაც ვერ ხედავდა!.. თუ არსად იმზირებოდა, და თვალები მისი მხოლოდ ღია იყო... უმეტყველო, უსიცოცხლო და ხელოვნურად გაკეთებულს მინისას წაავადდა.

— კი, ცუდად არის ქალი, მანუჩარ!.. გული უწუხს, ალბად!.. წყალს ამოვარბენინებ!—სიტყვა შეშინებულმა თემუიამ და წყლის ამოსატანად გაიქცა. მე კი ხელები მოვხვიე საყვარელს და მკერდზე მივიყრდნე მივეაღერე.

— კი... ავად ვარ, მანუჩარ!..—სუსტი, ჩამწყდარი ხმით წამჩურჩულა ვარდომ და ცახცახით მომეკრა.

— რა გტკივა, ჩემო სიცოცხლე, მითხარი!

— რა უნდა მტკივოდეს?.. აი...—გაჩუმდა. თვალები დახუჭა.— გული... გული მერევა...

ისევ ისა!.. წილან რომ მაგრძობინა ის მიზეზი ისევ!!

— იქნებ, არა, ვარდო!.. იქნებ, გეჩვენება, გგონია!.. დამშვიდდის!.. გარწმუნებ, რომ არაფერია!.. შეშინებული ხარ და სცდები!!

ხელები გამიშვა ვარდომ. მოწყვეტილი განმეშორა და ნიშნად წყინისა და განცეფრების ისე შემომხედა, რომ მისგან ვერც კი წარმოვიდგენდი... თავი მალა ასწია, გასწორდა, მედიდური სახე მიიღო.

— სწორია!.. მომეჩვენა!..—სიტყვა.—არაფერია! ამასობაში თემუიაც დაბრუნდა. წყალი ამოიტანა მათართი!

— არ არის საჭირო, ჩემო თემუია!.. გამიარა!.. კარგად ვარ!.. მაპატიე!.. ზღაპარი უნდა მეტყვა, მგონი!.. შენი ზღაპარი კარგი იყო, ჩემო თემუ!.. მე შენისთანას ვერ ვიტყვი!.. მაგრამ მაინც მინდა ესთქვა!..

— შემდეგ გვითხარი, ვარდო!.. ხვალ!.. როცა დამშვიდდები!.. რა საჩქაროა!.. ლამიღბა მაინც!—უჩრჩიე ვარდოს.

— არა, მანუჩარ!—მიპასუხა მან თვალების მორიდებით.—დღესვე უნდა ესთქვა ჩემი ზღაპარი!

სწორედ ამ დროს შევნიშნე, რომ ჩვენი სოფლის ციხის მაღალ კოშკს მძიმედ და შავად გადმოფარებინა ჩვენთვის. თვისი ჩრდილი და მოჩვენებასავით თავზე დაგვწოლოდა. ვერ მოვასწარი თემუიასთვის შეეხედნა და ჩემი გაკვირვება გამენაწილებინა მისთვის, რომ სრულიად გამოცვლილმა, ექსტაზის ელვით განათებულმა ვარდომ დაიწყო თავისი ზღაპარი.

ვარდოს ზღაპარი.

„აი, სწორედ იქ, სადაც ის კოშკია ამართული, წინა დღეებოდა ვარდი წითელი!.. წითელი ვარდი იზღებოდა პირშეკრული, ქალწული!“

„ყოველ დღეს მოელოდა გაშლას წითელი ვარდი, და ყოველ დღეს იღუშალი რამ შიში გულს უტოკებდა მას... იღუშალი რამ შიში შეუმცნობ მომავლისადმი!“

„თავს კარგად გრძნობდა წითელი ვარდი, თვითეთლი ამოსუნთქვა მას დიდს რალაცას უახლოვებდა: დიდს რალაცას მიუწდომელს და გაუგებარს!.. და არ იკოდა მან, რა ეწვეოდა: ბედნიერება თუ უბედურება? ბედნიერება კი უნდოდა მას, ბედნიერება კი სწყუროდა მას, და გაშლასაც სიხარულით სწორედ ბედნიერებისთვის მოელოდა!“

„დადგა დროც... იგი იყო დრო ღამის ნიავის ნელი ქროლვისა, წყნარი და მშვიდი... წყნარი და მშვიდი, როგორც ძილი უკა-

ქ. ფოთის მხროვნებ ალექსი გიგინაშვილის ოთხი ვაჟი, რომელნიც გაფხველნი არიან ომში.



ვარდენი (დაჭრილი).



ვლადიმერი (არ იტან, საღ იმყოფებოდა).



ალექსი



ნესტორი (წელს გაიწვიეს).

ცურ მათა!.. წითელი ვარდის გულის ფოთოლი უცნაურად შეარხი ჰანგმა ლტოლვისამ... ჰანგმა ლტოლვისამ შინაგან სევდით მთრთოლ-ვარემ, სულის სიღრმეიდან ამოფრქვეულმა!.. ეს: წითელ ვარდზე შეყვარებული ღამის ოცნების საღამური... ღამის ოცნების საღამური — ბუღბუღი პირველ სიყვარულს უმხელდა სატრფოს!..“

„მზე ამოვი და მეორე დღეს. და გაიშალა წითელი ვარდი, სიყვარულის ცვარ-მარგალიტით დამშვენებული!.. მან დაინახა ქვიყანა სასწაულების, ქვიყანა ხმათა და სახეთა, მომხიბლავი და საოცარი... მომხიბლავი და საოცარი, როგორც ზღვა ჯერ გამოუთქმელის ოცნების ფერადების!.. და გაიხარა წითელმა ვარდმა! გაიხარა მისმა ბუღბუღმაც, რადგანაც სჩანდა, რომ ბედნიერები იქნებოდნენ!“

„მაგრამ მალე გავიდა დრო... დრო ფურჩქენისა და იმედების, დრო ცხოვრების შეუფერისა!.. წითელ ვარდს შემოუქროლა ქარმა ზრობისამ... ქარმა ზრობისამ შემოუქროლა სიკვდილის არედან!.. და სასწაულების ქვიყანას, ქვიყანას ხმათა და სახეთა გადაეფარა კმუნვის ზეწარი!.. იგი ახლა გამოუთქმელის ოცნების ფერადების ზღვა კი აღარ იყო, არამედ გამოთქმული ოცნებიდან დაშენილი რეჩხი უგემო!“

„დალონდა წითელი ვარდი და ბუღბუღს მიმართა გასარკვევად. ბუღბუღმა კი სასოწარკვეთით ამოიკვნესა, უთხრა: — ასეთი არის ბედი ქვიყნისო, და ის, რასაც ხედავ, წარმავალის ცხოვრების შიში არისო სიკვდილის წინა! წარმავალი ცხოვრების შიში ფერკ-თომა ბატონ-მპყრობელის მობრძანების წინა! სულ მალე ჩვენ ის არ ვიქნებით, რაც ახლა ვართო, და იმას კი, რაიც ვიქნებით, კერძო სახელი არა ქვიანო!“

„ტრემლი მოწყდა მაშინ თვალთაგან წითელ ვარდს!.. ღაწენი დასწვა, ფერნი დაუქრო და გულზე დაეცა შხამად... მომკვლელად!“

„და მალე დადნა ვარდი... წითელი ვარდი... ტრემლად დადნა ტურფა სიცოცხლე!“

„და იქ, სადაც ის იზდებოდა, დაგუბდა ტრემლის ზღვა შავი და მძიმე... შავი და მძიმე, როგორც წუხილი სიკვდილის ცელ მო-“

დებულის. ვერ აიტანა მთის ზურგმა სიმძიმე მისი... ვერ აიტანა მთის ზურგმა დარდი ვარდის გულისა... და შეინძრ-შეირხა მთელის ძალ-ლონით უზიდველ ტვირთის მოსაცილებლად!.. და ვარდის ტრემლის ზღვაც უშრობ მდინარედ ჩამოიქცა მალლიდან ქვეით!“

„ჰანგად დამარცვლდა მაშინ ბუღბუღი, და მისი თვითული ჰანგი განსახ-გაჰკვავდა სასწაულებრივ... განსახ-გაჰკვავდა, როგორც სრულება-სამაგალიტო მარადული გრძნობის გამუსიკების!..“

„და უცნაურ კენჭების სახით წითელი ვარდის ტრემლის მდინარეს გარს შემოერტყნენ უყოფელ ნიჭთა მკრთომნი ხმანი... უყოფელ ნიჭთა მკრთომნი ხმანი — მოუკლავ წყურვილის ჰანგნი, შეუსრულებელ ნდომათ კვნესანი და მარად ლტოლვად შეთენილ ლტოლვის ოხვრანი!“

„აჰა, რა არის ჩვენი ბროლკაჟა!.. აჰა, რანი არიან მისი კენჭები!“


დაამთავრა ვარდომ ზღაპარი, და ღამეც თვისი შავი ფრთები გაშალა!.. შიშმა გაგვკრა კლანჭები, და საიდუმლოებაში გახვეულის გარემოს შეუცნობელმა მეტყველებამ გულის კარზე დაგვიკაკუნა... შორიდან, თითქო უკუნეთის ჯურღმულიდან შემადრწუნებელი რეკვა მოგვესმა!.. მე ვერ მივხვდი, თუ რა იყო იგი!.. მომეჩვენა კი, თითქო ბიძაჩემის იღუმალებით მოცულ ციხის კოშკში რეკდა ვი-ლაცა!..

— კი!.. კი!.. — ნელის კვილით დაიწვილა რეკვის გაგონებაზე ვარდომ და ხელები თმაზე წაივლო!

— არასოდეს! არასოდეს!.. მოდი ჩემთან, ჩამეკარ გულში! — მიმართა ვარდოს თემუიამ და მიუახლოვდა მთრთოლვარე, ალღვებული. გულში ჩაიკრა, ხელები გადააფარა. — თვალისჩინო, შენ ვერ შეგვხება იგი!.. როგორც ზღაპარი შენი, ისე რეკვა-ზახილი იგი, ტყუილია და მოჩვენება!..


მე კი მოსაზრების უნარი წამრთემოდა... ხმა ჩამვარდნოდა და მოქმედების საშუალება დამხშოდა... **ლევ ქიაჩელი.**

ჩვენ



მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

ნაცნობები



მგოსანი მუხრანელი.